

ნების ასე კუთხით, რომელის დაუკიდოს
განსაკუთრებულად, რამაც გამოცდილ იქნება და მიმდინარე
გვირჩვინი ცხოველებისა, რომელ აღემატე გმირობის
მოშენების მიზანს

(ავ. 1, 12)

კირილ ॥

უწმიდესი და უწერავესი სირედიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

(1917-1918)

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

ოზურგეთი 1994 6.

რედაქტორისაბან

თუ ვიცი შენი ახეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუძირობისა თუ უმაღურობის ნაყოფია" - მწარედ დასტიროდა ტრაგიკულად. დაღუპული ხრულიად საქართველოს კაოოლიკოს-პატრიარქის პირი იმპერიალის II-ს ცხედარს ანჩისჩატის ტარის დეკანზი ნიკოტა თაღაკვაჭე. ქართველი სახოგალოების დიდი ნაწილისათვის უცნობია ქათაღიოს-პატრიარქ კირიონ II-ს დაწილი და დამსახურება კვლებითა და ერთს წინაშე. სამშობლოზე შეკვარებული, ამ სიცვარულში დაიშრიოტა. კუიქრობ, ძნელი იქნება ამ წიგნის აუდვლებლად წაკითხვა ნებისმიერი მამულიშეიღილისათვის, მაგრამ რაც არ უნდა მწარე იყოს ხისართვე, ის ჩვენი ისტორიაა და არ გვმართებს მიხი დავიწყება, თუნდაც იმიტომ, რომ აღარ განმეორდეს მხგავსი რამ, და რათა უკეთ დავინახოთ საკუთარი სახე კირიონ II-ს ხიკვდილამდე ცოტა ჩნიოთ ადრე საქართველოში არსებულ ურთიერთგანწყობაზე ამგვარი აზრი გამოიუთქმამს: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, მორიდან თვალყურს გადევნებდით, კუიქრობი ამ ხნის განმავლობაში თქმას საქმარისად შეიღწიოთ საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხდა კრწმუნდები, თქმას უფრო დაქვეითებულხარით. თუ ხელახლა დაიბადებით, თორებ სხვაფრივ თქვესი გამობრუნება შეუძლებელია".

იმედი გვაქეს რომ მართლაც და ხელახლა დაუიბადებით ღმერთისა და მამულის სიცვარულში და ამავე სურვილით კონკრეტულ მკითხველს ამ წიგნს.

ლინაურისა და აჭის ეპლუსიანის ტინამდევარი
მღვდელი გურაგი

XIX საუკუნის 80-90-იანი ნლებიდან ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ივერიელის, ნიქოზელისა და ლიახველის ფსევდონიმებით ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო ნერილები და გამოკვლევები. საქართველოს ისტორია, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ეთნოგრაფია, ვეფხისტყაოსნისა და ქართლის ცხოვრების უძეელესი წუსხები, წუმიზმატიკა, ხალხური სიტყვიერების ისტორია აი საკითხები, რომელიც აინტერესებდა ავტორს. ნერილები გამოიჩინეოდნენ საკულევი საკითხის ღრმა ცოდნითა და ეროვნული ჩაგვრით შენუხებული სამშობლოს დიდი სიყვარულით. საძაგელოვ-ლიახველ-ივერიელი გიორგი საძაგლიშვილი-ეპისკოპოსი კირიონი, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II XIX საუკუნის 80-90-იანი ნლების ქართული ინტელექტუალური საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელია. იგი აღიზარდა თერგდალეულთა სულისკვეთებაზე და მთელი თავისი საქმიანობაც იმ დიდი მიზნის განხორციელებას მოახმარა, რომელიც იღია ჭავჭავაძემ ლელთ ლუნის პირით საქართველოს უთხრა — ჩვენი თავი ჩვენადვე გვაყუდნეს. — ამ მიზნის პრაქტიკული რეალიზაცია XIX საუკუნის 60-70-იან ნლებში შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქართული ეროვნული ცნობიერება ცარიზმის რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკის ნაკალობით იმდენად დაქვეითებული იყო, რომ ქართველი ხალხის დიდი ნანილი ღრმა პესიმიზმს მოეცეა, ნანილი კი საკუთარი ეროვნული კულტურისა და ისტორიისადმი ნიჲ ილისტურად იყო განწყობილი. ასეთ ვითარებაში სამშობლო ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი სამსახური გმირობის ტოლიასი იყო, იგი მრავალი დაბრკოლებისა და უსიამოვნების გადალახვას მოითხოვდა. მამულიშეილობის მძიმე ტერიტორია მხრებით ტარება მხოლოდ გიორგი საძაგლიშეილის მსგავს ერთეულებს შეეძლოთ — ყველაფერი მობეზრდება მამული-შეილს გარდა მამულიშეილობისა — ამ სიტყვისთვის გამოხატა კირიონ II-მ თავისი ცხოვრების კრედო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქისა და ცნობილი მეცნიერის კირიონ II შესახებ ძალიან ცოტა არის ნათევამი. პირველი ბიოგრაფიის



გირიონ II
კათალიკოზად კურთხევაში (1917)

ნარკევეო 1917 წელს გამოაქვეყნა მოსე ჯანაშეილმა¹, მოკლედ არის გადმოცემული კირიონ II ბიოგრაფია და ნაჩენებია ის თავდადებული ბრძოლა, რომელსაც კირიონ II ენეოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, კირიონის დევნა ოფიციალური ხელისუფლების მიერ, ბელგიაში კირიონის დაცეს საზოგადოების შექმნა და რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების მიერ კირიონის გადასახლებიდან დაბრუნება. იქვე საინტერესო პარალელებია კირიონ I (599-610 წ.წ.) და კირიონ II პიროვნებათა შორის, მაგრამ ნაშრომში ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კირიონ II სამეცნიერო მოლვანეობას.

კირიონ II არქივის დიდი ნაწილი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომლის აღნერილობა ეკუთვნის ამავე ინსტიტუტის თანამშრომელს ელისო აბრამიშვილს². მანვე გამოაქვეყნა საარქივო მასალების მოელე მიმოხილვა, ძირითადად კირიონ II ეპისტოლარული მემკვიდრეობა „მრავალ-თავში“³.

კირიონ II მოლვანეობის შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ბ-ნმა ვახტანგ გურგენიძემ: ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საისტორიო არქივში დაცული მასალების საფუძველზე აღადგინა კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II შმულოთვარე ბიოგრაფიული ცხოვერება, აჩვენა ეკროპელი და რუსეთის სამეცნიერო ნრეების კირიონ II-სადმი — დიდი პატივისცემა და სიყვარული, მაგრამ ამ დიდი პიროვნების ლვანლის ყოველმხრივი შესწავლა მომავლის საქმეა.

კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი დაიბადა 1855 წელს გორის მაზრის სოფ. ნიქოზში სასულიერო პირის ოჯახში. მის ნინაპრებს დიდი ნელილი მიუძღვით დიდოელთა, ინგუშთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. იგი ჯერ ანანურის საეკლესიო სკოლაში სწავლობდა. 1862 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა. ამ დროს უკვე გამოიკვეთა ახალგაზრდა ყმანვილის მამულიშეიღური მისწრაფებანი. ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშეიღი იგონებს, რომ გიორგი საძაგლიშეიღთან ერთად ფეხით მოიარეს შიდა ქართლის თითქმის ყველა ისტორიული ადგილები, შემდეგ კი მოიხილეს

მალრანდვალეთის ქართული სიძეველენი.

1876 წელს გიორგი საძაგლიშვილმა დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დამთავრა 1880 წელს და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემნედ.

1883 წლიდან 1896 წლამდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (გორი, თელავი, ქუთაისი, თბილისი) ენეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, საღმრთო ისტორიას, გეოგრაფიას. ყოვლად სამღვდელო კირიონი 1896 წელს დაინიშნა საქართველოს მონასტრების ბლალოჩინად და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად, სადაც როგორც ქართველმა, კარგად მცოდნებ თავისი ერისა და ხალხის სულიერის საჭიროებისა, დაარსა 19 სამრევლო სკოლა. აშენებინა სკოლები ანერისხევში, ვანათში, თიანეთში; ყველა სკოლას შეუქმნა ნიგნიაცავები და ბიბლიოთეკები. ამავე პერიოდში ქართულ და რუსულ ეურნალ-გაზეთებში იგი აქვეყნებდა წერილებს, გამოკვლევებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე. ივერიელის, საძაგლოვის, ლიახველის ფსევდონიმებით.

კირიონ II იუმ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და აღნერა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები. ეს აღნერილობა გამოაქვეყნა კიდეც 1898 წელს. ამ აღნერილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მომდევნო ხანებში ბევრი ისტორიული ძეგლი მოსული ხალხის (ოსები) მიერ განადგურებული იქნა.

1896 წ. ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა კირილეს, კირიონის სახელით და გაიგზავნა ქვათახევის მონასტრის ნინამძღვრად. ამ პერიოდში ღვთისმსახურების გარდა კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობას ენეოდა ქართლის სოფლებში. აგროკვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, მეცნიერულად სწავლობდა ხალხის ზე-ჩვეულებას, ეკლესია მონასტრების

სიძველეებს. ქვათახევის მონასტრის ნინაშძლვრობის დროს კირიონმა „ქვათახევიდან ჩამოიტანა და ტფილისის საეკლესიო მუზეუმს ჩაბარა 96 ცალი ხელნაწერი, მათ შორის XI საუკუნის სახარება, 1494 წელს გადაწერილი „დავითი“ და სხვა მრავალი საინტერესო ხელნაწერები“⁵.

კირიონ II-მ დიდი ნელილი შეიტანა ქართველთა შორის ნერა-კითხეის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა მუზეუმის ისტორიული საბუთების გამდიდრების საქმეში. იგი მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან, საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ მასალებს ყოველწლიურად უანგაროდ სწირავდა ქართველთა შორის ნერა-კითხეის გამავრცელებელ საზოგადოებას. მარტო 1891 წელს საზოგადოებას გადასცა: ტრიოდიონი (მარხვანი), საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, ხუცური ასოებით ნაწერი სადღესასწაულო ღვთისმშვენიერი თხრობით სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ენოდების „გვირგვინი“, საღვთო მარგალიტი ძველი საეკლესიო ნიგნი ხუცურ ეტრატზე ნაწერი, აპოერიფი ყოველად წმიდა მარიამის სახარებასა და იოსებზე, XVIII საუკუნის ხელნაწერი ლიტურგია ოქროპირისა, რუსული ასამალლებელი ქართულის ასოებით, სხვა და სხვა ხელნაწერი ნიგნების ფურცლები, ისტორია გინა მოთხოვნა სალმრთო ნერილისა ძველისა და ახლისა აღთქმისა, მინის სამაჯურები. ნაპოვნი თელავის ღვთაების ეზოში, ოთხი ძველი ვერცხლის ფული⁶.

კირიონმა შეისწავლა ძველი ქართული აპოვრაფების უცნობი ხელნაწერი, რომელიც დაცული ყოფილა გორის თავადაზნაურობის ნინაშძლოლის ივანე რატიშვილის ოჯახში⁷.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, რასაც ქართული საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხედა. აშკარად იგრძნობოდა რომ საზოგადოებას იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ დიდი სურვილი ჰქონდა მისებრ დინჯი მრავალმხრივი განათლების ქართველი მღვდელმთავარი ეხილა, რომელიც იტვირთავდა დაჩაგრული ერისა და გაპარტახებულ-

განადგურებული ეცლესის აღდგენას; როცა საზოგადოება ეპისკოპოს კირიონის მოლვანეობაზე ასეთ იმედებს ამყარებდა, ამის საფუძველს იძლეოდა კირიონის ეპისკოპოსობამდელი საქმიანობა. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ დიდი ამბით გამოეხმაურა კირიონის ეპისკოპოსად კურთხევის ფაქტს. 22 აგვისტოს შაბათს შუადღისას საქართველოს ეგზარქოსის დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტ კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დაიმუშავა იქნა აღავერდის მღვდელმთავრად... „სრული იმედია ყოვლადსამღვდელო კირიონი, კარგად ცნობილი საქართველოში, როგორც განმაახლებელი მრავალთა ნაშთთა ჩემის ძველის ხუთოომოძღვრებისა და სასულიერო განათლების თანამკრძნობელი, შეძლებისდაგვარად იმოლვანებს კახეთის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ასპარეზზედ“ — (ივერია 1898 №81).

ეპისკოპოსად სახელდებისას არქიმანდრიტმა კირიონმა ნარმოსთევა სიტყვა:

„მე სრულიადაც არ ნარმოვიდგენდი ამ თვრამეტი წლის ნინათ, როცა კურსი შევასრულე კიევის სასულიერო აკადემიაში, თუ ჩემთვის ასეთი ბედნიერი და დიდმნიშვნელოვანი დღე დადგებოდა... მე კურსის შესრულების შემდეგ დაუინუე სამსახური სასულიერო ნოდების ახალ თაობის აღმზრდელის ასპარეზზედ. მას უკან ბევრ რასმეს ვფიქრობდი, ბევრ გეგმას ვაწყობდი ჩემის მომავლის მოლვანეობისას, ბევრს ადგილს ვირჩევდი სამსახურისას, მაგრამ უფლის განგებულებამ დღეს ნაჩენებ გზაზედ დამაყენა: სხვებსავით მეც ვფიქრობდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა აქაც მიმუხოლა. და ამის გამო სამსახური ეკლესის მიმართ მონაზონის ნოდებაში ჩემთვის აუცილებელ-აუმორებელი შეიქმნა. სწორედ თუმც ნინათ ამავე ადგილს, სადაც ახლა ვდგევარ, ეიდექი მონაზონის უბრალო ტანაცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზონური ცხოვრებისას... დიდი მაღლობელი ვარ იმ ჩემი მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტ გზაზედ დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტორთო მძიმე მოვალეობანი. მნიუმსმთავრისა და ვიქნე აღავერდის ეპისკოპოსად — იმ აღავერდისა, სადაც



ყოვლადუსამლელოესი კირიონი 1910 წ. სურათი
ამოღებულია მ. თამარაშვილის „ქართული ეკლესიის
ისტორიიდან“

მოლეანეობდა, სადაც ქადაგებდა და სადაც განსუენებულ არს ნა. მამა ოსებ აღავერდელი. აღავერდის კათედრაზე მოლვანეობდა მრავალი ლირისი მღვდელმთავარი, რომელთ მის ნიალში იგემეს საუკუნო განსასუენებელი. აღავერდის ტაძარი ისეთი სინმინდეა, რომელსაც დიდ პატივს სცემენ არათუ მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ არამართლმადიდებელიც და თვით მთიანი დალესტანის მკეიდრნიც. ლეკები და მაცმალიანიც კი, რომელთაც ჩვენი ნინაპრები ხმლით ხელში ეომებოდნენ თვისთა სარწმუნოებრივ სინმინდეთა დასაცეველად და ბოლოს ქედი მოადრეებინეს თვისის სინმინდის ნინაშე. საღმრთო განგებაშ მარგუნა სამსახური. კმადლობ საღმრთო განგებას ამ ხეელრისათვის მით უმეტეს რომ ხელმძღვანელად მეყოლება ეკლესიის სასარგებლოდ მოლვანეობის საქმეში გამოცდილი მღვდელმთავარი... დასასრულ გთხოვთ ნმინდანნო მღვდელ-მთავარნო, ნარმომადგენელნო ივერიის ეკლესიისნო, ილოცოთ ჩემთვის, რათა ქვეყნის მნეუმსმთავრულის ლოცების მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალა და სიბრძნე მისის ეკლესიის სასარგებლოდ მოლვანეობისა”.

აღავერდის ეპარქიაში ჩასელისთანავე კირიონმა განაგრძო დაუცხრომელი საქმიანობა. აღავერდის დიდებული ტაძარი მოუკლელობისაგან განადგურების პირას იყო, მისული. ტაძრის სახურავი გამოსაცელელი იყო, გალავანი შესაკეთებელი.

ეპისკოპოსმა კირიონმა შეადგენინა პროექტი და თავისი ხარჯებით დაიწყო ტაძრის შეკეთება. ამავე დროს ეპისკოპოსმა კირიონმა დაიწყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლა. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს გადასცა 68 ხელნანერი. მათ შორის 1089 ნელს გადაწერილი სახარება. ამ აღმოჩენით აღთვრთოვანებული მ. ჯანაშვილი ნერდა: მასში მრავალი საყურადღებო ცნობებია დაცული სახარების ქართულად თარგმნის, თეიმურაზ I და სხვათა შესახებ. სახარების ბოლოს კი ასეთი ნარნერაა: „ქ. ადიდენ ღმერთმან ძლიერსა და უძლეველსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთის ნოველისიმოსმან”. ამ აღმოჩენამდე ქართულმა მეცნიერებაშ არაფერი იცოდა ბაგრატ IV-ს დროინდელი სახარების

შესახებ. ეპისკოპოს კირიონის სახით ქართულ ეკლესია-მონასტრებს და იქ დაცულ ძვირფას ხელნაწერებს ღირსეული დამცველი და პატრონი გამოუჩნდა. ამავე დროს კირიონმა ყურადღება მისაქცია XIX საუკუნის საქართველოში გავრცელებულ ერთ სამნუხარო ტენდენციას. 1811 წლის ნემდეგ როცა რუსეთის მთავრობამ საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და რუსული ნირვა-ლოცვა დაანესა ხალხი პროტესტის ნიშნად ეკლესიებს სტოვებდა. ამით სარგებლობდნენ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მესვეურნი და უკანონოდ იქავებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს. მათ ხელში ჩაიგდეს ქართული ეკლესიები თბილისში, გორში, თელავში, დუშეთში. ეპისკოპოსმა კირიონმა ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი დასაბუთებული მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა სომხებისაგან უკანონოდ მიტაცებული ქართული ეკლესიების დაბრუნება. სომხური ნაციონალისტური ბურუუაზია, რომელთაც დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი გააჩნდათ ქართული ეკლესიების მიტაცებას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა. უფრო მეტიც ცდილობდა მოეძებნა დასაბუთება თავიათი უკანონობისა ეპისკოპოსი კირიონი ი. ჭავჭავაძესთან და დ. ბაქრაძესთან ერთად აქტიურად ჩაება სომხებთან პოლემიკაში. სომხურმა გაზეთმა „ნორდარმა“ გამოაქვეყნა ნერილები, რომელშიც თავისი ერი ქებით ცაზე აიყვანა ხოლო ქართველები კი უსაქმურ, მკვეხარა ხალხად მიიჩნია, რომელიც მხოლოდ სომხეთა მოსამსახურებად გამოდგებიანო. თანაც საბუთად ქართული ნყაროები მოიშველიეს. ეპისკოპოსმა კირიონმა თეთი სომხური საისტორიო ნყაროების მოშველიებით სომხის ერის ასეთი სურათი დაგვიხატა: „ერი ზვავი, გაუგონარი, დიდმეთქავი, უსამართლონი, ტრაბახანი, ზარმაცნი, მარცველნი, მატყუარანი, მექრთამენი, ცრუ-მედიდურნი. და იქვე დასძინა, რომ საისტორიო ნყაროებს აღამიანური თვალით უნდა შევხედოთ და არ უნდა ვეცადოთ მათ საფუძველზე სხვის დამცირებას“⁸.

კირიონი 1901 წლიდან გორის ეპისკოპოსია, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობამ და საქართველოს საეგზარქოსომ აშკარად

დაინახეს ის დიდი საფრთხე, რაც კირიონის მოლვანეობიდან მომდინარეობდა. ეპისკოპოს კირიონის გარშემო თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობამ გამოსავალი იმაში გამოხახა, რომ ეპისკოპოს კირიონს ხშირად უცვლიდნენ ეპარქეებს. 1903 წელს ხერსონში, 1904 წელს ორიოლში, 1906 წელს სოხუმში. სოხუმში მოლვანეობის დროს ეპისკოპოსმა კირიონმა დიდი მუშაობა გასწია ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და მოლონიერების საქმეში, მაგრამ სწორედ ასეთი საქმიანობა ინვევდა შოვინისტი რუსი მოხელეების გაავებას. კირიონი სოხუმიდან კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით.

1907 წლის სექტემბერში, როცა ქართველი ხალხი ეთხოვებოდა ილია ჭავჭავაძეს კირიონს საქართველოში ჩამოსვლის უფლება არ მისცეს. მან მხოლოდ სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა მოახერხა კოენოდან. 1908 წელს კირიონს მთავრობის დაღვენილებით ჩამოერთვა ეპისკოპოსის ნოდება და დაპატიმრებულ იქნა. მთავრობის ასეთი სიმჯაცრის მიზეზი უნდა ვეძებოთ კირიონის დაუცხრომელ საქმიანობაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის სულისჩამდგმელი იყო. სწორედ მისი პროპაგანდის შედეგი იყო 1905 წელს დიდი საეკლესიო კრების ჩატარება, სადაც ქართველი სამღვდელოება იხილავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს. საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ სთხოვა მეფისნაცვალ კორონცოვ-დაშვილს ყაზახების საშუალებით დაერბია საეკლესიო შეერების მონაწილენი. ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელმა ყაზახებმა რუსი ერისა და რუსეთის ეკლესიის ინტერესების დაცვა ქართველი სამღვდელოების მათრახებით ცემაში დაინახეს.

XX საუკუნის დასაწყისში ფართო პროპაგანდა გაჩალდა რუსეთში პატრიარქების აღდგენის მოთხოვნით. ამ მოძრაობაში აქტიურ მონანილეობას იღებდნენ რუსი სლავოფილები, რომელთა ერთ-ერთი გამოჩენილი მოლვანე იყო ნ. დურნოვი, ივი თავის

ნერილებში ამხელდა რუსი ეგზარქოსების ურნმუნოებასა და მარტინი პოლიტიკას საქართველოში⁹.

სლავოფილებმა პეტერბურგის პრესაში დაბეჭდეს ნერილები, დაგმეს თბილისში ქართველი სამღედლოების მიმართ ჩადენილი ბარბაროსული მოქმედება. ქართველი საზოგადოების მონინავე ნაწილი იღია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვაშვილებს ესტლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობა იძულებული შეიქმნა ფორმალურად მაინც დაენიშნა პეტერბურგში სპეციალური სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ეპისკოპოსმა კირიონმა სხდომაზე ნაიკითხა ორი მოხსენება: 1) რა აიძულებს ქართველებს იმეცადინონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე, 2) ეროვნული პრინციპი ეკლესიაში. კირიონი ასაბუთებდა რომ ეკლესიური მონობა ყველა მონობაზე უარესია. ფორმალურად დანიშნულმა კომისიამ, სადაც უმრავლესობას ნარმოადგენდნენ დეკანოზ ვოსტოკოვის მიმდევრები, უარყვეს ქართველი სამღედლოების სამართლიანი მოთხოვნები, და ამის შემდეგ დაინყო კირიონის დენა-შევინწოდება. მიუხედავად სამშობლოდან მოშორებისა ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს მაჯისცემას განიციდა ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო შორეულ კოვნოსა თუ სანაქსარის უდაბნოში.

1907 წელს ქართველი საზოგადოების ინიციატივით დაარსდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც შემონირული სახსრებით უნდა ეარსება. ეპისკოპოსი კირიონი სიხარულით ატყობინებდა საზოგადოების თავმჯდომარეს ე. თაყაიშვილს თავის მზადყოფნას — დახმარებოდა როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად. ე. თაყაიშვილი იგონებდა: — «ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ კიდევ ექსორიაში ყოფნის დროს შემოსწორა საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი ნიგნებისა, მრავალი საარქეოლოგო ნივთი, ალბომები, სურათები და დიდი ნუმიზმატური კოლექცია. ნელინადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე ნივთი, ხელნაწერი თუ ფული არ გამოეგზავნა ახალი საზოგადოებისათვის¹⁰.»

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით ე. თაყაიშვილის რედაქციით დაიბეჭდა ძველი საქართველოს შესახებ სამი წიგნი, რომელშიც არის კირიონის მიერ შედგენილი ქართული სალექსიკონის მასალა განმარტებითურთ. მანვე „ქართული ლექსიკონის გამოსაცემად განყოფილებას გადასცა ასი მანეთი“. 1913 წელს 2 ივლისის ნლიური კრების №74 ოქმი გვაუწყებს — საბჭოს ნინადადების თანახმად კრებამ ერთხმად აირჩია ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი საზოგადოების სამატიო წევრად. მან საისტორიო საზოგადოებას შესწირა ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერი, კორიდეთის ოთხთავი, პავლენის ერთი ძველი რედაქცია და სხვა მრავალი საინტერესო საბუთები¹¹.

თითქმის შეუსწავლელია კირიონის ლვანლი ქართული სისტორიო წყაროების, ისტორიოგრაფიის კულევის საქმეში. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თერგდალეულთა მსგავსად ის ქართულ პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა მეცნიერულ-პოსულარულ წერილებს საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, ეკლესიის ისტორიის და ლვოისმეტყველების საკითხებზე. მას ეკუთვნის წიგნად გამოცემული ორმოცხვე მეტი მონოგრაფია.

1910 წელს გამოვიდა მისი პოლემიკური ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. დღეს შეიძლება ამ სქელტანიანი ნაშრომის ზოგიერთი დებულება საკამათო იყოს, მაგრამ მისი გაცნობისას არ შეიძლება მონიშნებით არ განიმსჭვალო მისი ავტორისადმი. კირიონის ამ ნაშრომს ყურადღებით გაეცნო რუსული მატიანების ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ალ. შახმატოვი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კირიონის ლვანლი შიდა ქართლში მცხოვრები ოსების კულტურის, ხალხური სიტყვიერების, ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მან შეკრიბა და უურნალ „მნიშვნელოვანი მატიანების“ გამოაქვეყნა ოსური ლეგენდები¹². მანვე ოსური ნირვალოცვის შემოღების აუცილებლობის საკითხიც დასვა¹³.

ეპისკოპოსმა კირიონმა კრიტიკულად განიხილა მ. თამარაშვილის ცნობილი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა

ქართველთა შორის და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი, მაგრამ მ. თამარაშვილს ოდნავაც არ სწყენია კირიონის შენიშვნები; პირიქით 1911 წელს დაბეჭდა თავისი ახალი ნივნი საქართველოს ეკლესიის ისტორია (ფრანგულ ენაზე) და მასში ვრცლად საუბრობს ეპისკოპოს კირიონის ლვანლზე ქართული ეკლესიის ისტორიაში.

რუსეთის მთავრობისაგან კირიონის დევნა-შევინწოდება ქართველი საზოგადოების აღმფოთებას ინკუვდა. აკაკი ნერეთელი გულისტკივილით შენიშნავდა რომ იმპერატორთანაც მივიდოდა კირიონის განთავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა კირიონის განთავისუფლებას არ აძირებდა. პირიქით აძლიერებდა ცილისნამებას მის მისამართით. 1908 წლის 28 მაისს თბილისში მოჰყვეს ეგზარქოსი ნიკონი და მისი მკვდელობა კირიონს დააბრალეს. ამგვარმა ცილისნამებამ, როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი ალამფოთა. როდესაც ამ ცილისნამების შესახებ პრესის ნარმომადგენელი ევ. გეგეჭეორის (მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი) შეეჯითხნენ, მან უპასუხა: ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს, მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგავენ¹⁴. კირიონის დევნის ამბავი რუსეთიდან უცხოეთში გაიტანა ოლივერ უორდროპმა, რომელსაც 1909 წლის 2 აპრილს ნერილი გაუგზავნა აღ. ცაგარელმა „კირიონი გაგზაუნეს ხარკოვიდან ერთ მონასტერში — ტამბოვის გუბერნიაში საცხოვრებლად, ცოტა ავად არის მაგრამ მოსკოვში სასადმყოფოში არ დაარჩინეს, ძალათ ნაიყვანა პოლიციამ რეინიგზით მონასტერში¹⁵. ეკროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც შექმნეს, რომელმაც დაინუო ბელმონერების შეგროვება კირიონის განთავისუფლების მოთხოვნით. ბელგიიდან ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ უორე ლორანმა ბრიუსელიდან 1909 წლის 20 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს სთხოვა დაუცვა ეპისკოპოსი კირიონი დევნა-შევინწოდებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება, მომავლის

რნშენა არ დაუკარგავს. ი. ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ ნერილში ნერდა: „ჩემი აქ ყოფნა ხომ მეტად მძიმეა, მაგრამ მით უფრო დამიმძიმდება, როდესაც გულსაკლავი და არასანუგეშო ამბები მომიერა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომია მისი დამაგვირგვინებელი... ნინ ფიანდაზის მავიერად, მართალია, ეკლიანი გზა გვიდევს, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია¹⁶.

რუსეთის მთავრობამ 1915 წელს შენყვატა კირიონის დევნა-შევიწროება. იგი დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ, სამშობლოში ჩამოსელის ნება არ დართეს. კირიონმა ძლიერ განიცადა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალება. იგი მეგობრობდა დიდ პოეტთან; ერთ ნერილში იტყობინებოდა — ვაჟას ნერილი კოსალაზე მაშინ მივიღე, როდესაც ნიგნის კორექტურა გაგზავნილი მქონდაო — კირიონი იყო უდიდესი ქველმოქმედი — მისი მატერიალური დახმარებით რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიიღო 300-მდე ქართველმა ახალგაზრდამ. აკადემიკოსი კორნელი პიელიძე იგონებდა თბილისის სასულიერო სემინარიიდან რეკომენდაციითა და ფულადი დახმარებით როგორ გაგზაუნა იგი ეპისკოპოსმა კირიონმა კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. ძველად ებრაელებს — ნერდა კ. პეტელიძე კირიონს 1905 წელს — ჩვეულებად პქონდათ, ყოველწაირ ახალს ანუ პირველ ნაყოფს მაღლობის ნიშნად სინირვენენ ხოლმე ამ ნაყოფის მომცემელ ღმერთს. ამისდა მიხედვით, ნება მიბოძეთ, მეც უმორჩილესად გიძლვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მიყენე თქვენი შთაგონებითა და რჩევით¹⁷. კირიონს განზრახული პქონდა თავის მშობლიური სოფ. ქვემო ნიქოზისათვის ბიბლიოთეკისა და სკოლის აშენება. შეასრულა კიდეც თავისი სურვილი. ბიბლიოთეკას გადასცა ძეირფასი ნიგნები. კიონს მეცნიერული მიმოწერა პქონდა აკად. ნ. მართან, პროფ. ალ. ცაგარელთან, ალ. შახმატოვთან, ლ. დიმიტრიკევთან, ივ. სოფოლოვთან. გ. ბერგმანთან, ა. პაკმიერთან, ივ.

ჯავახიშვილთან, მ. ჯანაშვილთან, მ. თამარაშვილთან.

კირიონის მოლვანეობის დევიზი მუდამ იყო მამულისათვის სამსახური. — მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე პეტიონი — ნერდა იგი. მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქართული ენა ოფიციალური ხელისუფლებისაგან დევიზი იყო ვრ. ყიფშიძესთან ერთად ქართული სიტყვეერების ისტორია შეადგინა. — „ჩვენი მუშაობა — ნერდა იგი — დამოკიდებულია იმაზე თუ რა დარი დაუდგება საზოგადოდ ქართულ ენას ჩვენს საშუალო სკოლაში და კურძოდ, ამ სახელმძღვანელოს; საჭიროა რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს ქართულს, არა მარტო პირველ დასაწყის სკოლებში, არამედ საშუალოსა და უმაღლესშიც. საჭიროა სკოლამ მტკიცე ეროვნული ხასიათი მიიღოს და სწავლა საგნებისა ქართულად ნარმოებდეს. ხოლო ეს მაშინ მოხდება, როცა მთლიანად საქართველოს ცხოვრება ეროვნულ საფუძველზე მოეწყობა. და ქართული ენა უაღრესად საჭირო შეიქმნება ყოველ დაწესებულებაში.

საქართველოს ეროვნულ საფუძველზე მოსაწყობად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალოის აღდგნას. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ეპისკოპოსი კირიონი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციით ისარგებლა ქართველმა სამღებელოებამ და საგანგებო საეკლესიო კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება. 1) ამიერიდან, 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, 2) დროებით კათალიკოზის ამორჩევამდე ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია — ოდიშის ეპისკოპოზი ლეონიდე; 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც საერო, ისე სასულიერო პირები: 12 მარტის კრების ინიციატორი და ნარმართველი ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ გომირგაძე, რომელიც კირიონის ტრაგიკული სიკვდილს შემდეგ, როგორც მისი ერთგული და გამორჩეული პიროვნება გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა; დრ. მთავრობის სპეციალური ნარმომადგენელი პროფ. ვლ. ბენეშევიჩი, რომელიც თბილისში ჩამოიდა, ქართველ სამღებელოებას ეროვნულ ავტოკეფალიის



მარჯვნიდან მარცხნივ: ეპისკოპოსი — შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირილი I და ეპისკოპოსი — შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე. გადაღებულია 1906 წ. პეტერბურგში. რუსეთის სინოდის სხდომაზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

ცნობას პეირდებოდა, რაც 1917 წლის 29 მარტს საექლესიო კრებამ უარყო. საქართველოს ეკლესია უნდა გახდეს ტერიტორიული აეტოკეფალიის მატარებელი ეკლესია — დასძენდა კრება. ტერიტორიული აეტოკეფალიის დროს საქართველოს ეკლესიის ოურისდიქციაში შევიდოდა ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იყო. საქართველოს ეკლესიის აეტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეროვნულ — დემოკრატიული პარტიის ნეერები. როცა საქართველოს ეგზარქოსყოფილი პლატონი გაჯიუტდა და არ თმობდა საქათალიკოზო რეზიდენციას, ეროვნულ — დემოკრატიული პარტიის ნეერები პირველი შევიდნენ ეგზარქოსის სასახლეში, გამოაძევეს პლატონი და დაბინავეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ლეონიდის მეთაურობით. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც ჯერ ისევ რესესიი იმყოფებოდა თითქოს აღარავის ახსოვდა, მაგრამ ქართველ მორნმუნეთა ჯგუფმა ჩიტო კაპანაძის ხელმძღვანელობით დელეგაცია გაგზავნა მასთან, რათა ნაამაგარი მამულიშვილი, ვინც ყველაზე მეტი გააკეთა საქართველოს ეკლესიის აეტოკეფალიის აღსადგენად და ამიტომაც განიცადა ამდენი დევნა-შევიწროება, დაბრუნებულიყო საქართველოში და მონაწილეობა მიეღო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის არჩევნებში. „კირიონმა ყურადღებისათვის მადლობა გადაიხადა, მაგრამ მან მტკიცე უარი შემოთვალა. ქართველი საზოგადოების დაუინებული მოთხვით 1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოსაცენ გამოემგზავრა. სამშობლოსაცენ მომავალ ბრნყინვალე მღედელმთავარსა და მეცნიერს არაგვის ხეობაში შეეგება ასოციამდე ცხენოსანი ვიგო ყარანგოზიშეილის ხელმძღვანელობით. ივი დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქი, თბილისში კი ბრნყინვალე შეხვედრა მოუწყეს. მაგრამ კირიონის სამშობლოში დაბრუნება პევრს მაინც არ გახარებიათ. კირიონი ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოსამზადებელ სამუშაოებში.

1917 წლის 9 სექტემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, როგორც გაზეთი „საქართველო“ იუნიებოდა კრებას თავმჯდომარეობდნენ გიორგი უსული, ტრიტონ ჯაფარიძე, სპირიდონ კედია. კრებამ განიხილა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ეპარქიების, საკათალიკოზო საბჭოს შექმნის საკითხები. მსჯელობის საგანი იყო საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა საკითხიც. სახელმძღვანელო, საჭირო იყო თუ არა მიტროპოლიტის პატივის არსებობა ქართულ ეკლესიაში. ხმათა უმრავლესობით ეს საკითხი დადგებითად გადაწყდა. შეიქმნა საქართველოს კათალიკოზ — პატრიკარქის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკოტა თალაკევაძის თავმჯდომარეობით. 17 სექტემბერს დაინიშნა კათალიკოზ — პატრიკარქის არჩევნები. კენჭისყრაზე დაშვეული იქნა ორი კანდიდატი მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოზი კირიონი. სრულიად საქართველოს კათალიკოზ — პატრიკარქის არჩევნები ჩატარდა სიონის ტაძარში. არჩევნებში მონაწილეობდა 448 კაცი. როგორც გაზეთი „სექტიცხოველი“ იტყობინებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიკარქად კრების მიერ არჩეულ და დამტკიცებულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი¹⁸. საეკლესიო კრების შედეგები სრულიად კანონზომიერი იყო, მაგრამ საქართველოში რა გამოლევდა ინტრიგებისა და გულფიცხობის მოსურნე ადამიანებს. მართალია საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიკარქად უნმინდესი და უნეტარესი კირიონი || აირჩია, მაგრამ არ გააუქმა ტუილელი მიტროპოლიტის თანამდებობა. XIX საუკუნის ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ გამოიყენა რუსეთის მთავრობამ ტუილელ მიტროპოლიტ არსენსა და კათალიკოზ ანტონ || შორის არსებული უთანხმოება საქართველოს ეკლესიის შიგნით არეულობისა და შფოთის გასაძლიერებლად, რაც ანტონ || რუსეთში განვევით და საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებით დამთავრდა. 1917 წლის

12 მარტს ტფილელი მიტროპოლიტის თანამდებობის შემოღება იმით იყო გამართლებული, რომ რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ეგზარქოსი პლატონი საქართველოს ეკლესიის აუტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ თავის თავს ტფილელ მიტროპოლიტს უწოდებდა. გურია — ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე ამიერიდან, როცა ტფილელი მიტროპოლიტი იქნებოდა ეგზარქოს პლატონის პოზიციები შესუსტდებოდა. მაგრამ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ — პატრიარქად კირიონ II არჩიების შემდეგ მცხეთა — თბილისის მთავარეპისკოპოსობაც მისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ტფილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდე. უნმინდეს კირიონ II-ს სიონში ნირვის უფლებაც არ ჰქონდა. იქ ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე სწირავდა. კირიონი ანჩისხატში სწირავდა. დაინტ ინტრიგები, რასაც თავის მხრივ აღვიკებდნენ რუსი ეგზარქოსების ჯაშუშები, რომელთაც გულზე არ ეხატებოდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული მიმართულების კათალიკოზ-პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი კირიონ II. ცნობილი მნერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშეიღი იგონებს — ერთ სხდომაზე ნამოიჭრა საკითხი კათალიკოზის პირადი მდივნისა და საკათალიკოსო საქმეთა მმართველის ასარჩევად. კორნელი კეცელიძემ და კალისტრატე ცინტაძემ კანდიდატად ნამოაყენეს დავით დავიდოვი! დავითაშეიღი! ამის ხსენებაზე კირიონი საშინლად ცუდად შეიქმნა, აინთო, მაგრამ თავი შეიმავრა... თქვენ თუ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად დავიდოეს აირჩიეთ, მე კათალიკოზის ხარისხს ავიყრიო¹⁹. ეს დაეიდოვი იყო ეგზარქოსების ჯაშუში და ყოველივე ეროვნულის მტერი. იგი არ აირჩიეს, მაგრამ მომხდარი ინციდენტი ფრიად დამატირებელი იყო. ამ დაეიდოვმა არაერთხელ სცადა კირიონ II-სთან შესვლა და მისი ფიზიკური მოსპობა. პოი, ქართველი ხალხის გულგრილობავ! პიროვნება, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართველი ხალხის სამსახურს შესწირა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოზ —

პატრიარქად აირჩიეს, ვიღაც ნაძირალა დაუიდოვ — დავითაშვილის შეურაცხყოფის ლირსი გამხდარიყო. ქართველმა საზოგადოებრიობაშ ასევე გულგრილად ჩაიკითხა სასულიერო უურნალ „ახალ სიტყვაში“, რომელიც ქრისტიფლორე ციციქიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ნინააღმდეგ ანონიმ ავტორთა სახელით მიმართული ცილისმნამებლური პასკვილები. მიუხედავად ასეთი საარაკო მტრობისა, კათოლიკოზ-პატრიარქმა კირიონ II შექმნა ძლიერი საკათალიკოზო საბჭო, რომელშიც სასულიერო პირებთან ერთად საერონიც შედიოდნენ. ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული ზეიმით გადაიხადა მცხეთაში კირიონ II-ის კათალიკოსად კურთხევის დღე. ეს დღე სეეტიცხოვლობას დაემთხვა. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი ტაძარში. კათალიკოზის კურთხევას დაესწრენ ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის კონსულები. — განეთი „საქართველო“ იტყობინებოდა — როდესაც კათალიკოზი შემოსეს ძველებურ ომფორითა და მიტრით, ეს იყო კიდევ ერთი ახალი ნუთი, რომელმაც ავრძნობინა ხალხს სანატრელი გაცოცხლება ძველი საქართველოსი. პატრიარქის სახე იმ ნუთში უსათუოდ დაუკინგარია. ის იყო მთლიანად უძრავი და განათებული. ნარსული ტანჯვა სჩანდა მის ფერმკრთალობაში. მისი ხმა იყო ნელი და მთრთოლავი და საკმეულის წმინდა სურნელებაში მორნმუნე გული იგრძნობდა მისტიკურად განგების სიახლოეს. — კირიონ II თავის სიტყვაში, რომელიც მან სეეტიცხოველში აღსაყდრებასთან დაკავშირებით ნარმოთქვა, ხაზი გაუსვა სარწმუნეობის წმინდა დაცვის აუცილებლობას, ეკლესიისა და ერის ერთიანობის აუცილებლობას. საქართველოში მცხოვრები სხვა ერებისადმი პატივისცემას, სწავლა — განათლების საქმეში საქართველოს ეკლესიის როლის ამაღლებას, სასულიერო პირებში ეროვნული მიმართულების სულიკვეთების ამაღლების აუცილებლობას: — „სამშობლო საყვარელო, ღვთისმშობლის ნილხედომილო, ბრძმედსა შინა ტანჯვა — ვაებისა განნმენდილო! შენთვის დაწეული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი,

მუდამ შენკენ ლტოლეილი დღეს განვისუენებ ტკბილსა შინა ნიალსა შენსა არა ვითარცა შეიღი უძლები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი გულისყური ამამად ჩემვენაა მოქცეული და მევითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდა მოსილსა? ყური მომისყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა“ (მთ. 20,28) მოვედი არა ვითარცა მნე სახუიდლით დადგინებული, არამედ ვითარცე მნე ერთგული და მარად მორჩილი.

კირიონ II-მ ნერილები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა მეთაურებს, რომელშიც მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად გადმოსცემდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობას. ძნელი იყო ფრიად გაძარცვულ-გაპარტახებული საეკლესიო ქონების კვლავ შეგროვება. ქართული სასულიერო ლიტერატურის გამოცემის აუცილებლობა ეპარქიების აღდგენა-მონესრიგება, სასულიერო პირთა ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა და უამრავი სხვა პრობლემები პქონდა გადასაწყვეტი სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქს კირიონ II-ს. იგი ჩვეული თავდავინყებით შეუდგა საქმეს.

1918 წლის 26 იანვარს ნმ. დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი. სრულიად საქართველოს კათალიკოზ — პატრიარქმა კირიონ II უნივერსიტეტიცის ეკლესიაში გადაისადა პარაკლისი. კირიონ II დიდი სიხარულით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1918 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე გადაისადა საზეიმო პარაკლისი და მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურნი ათეისტური მსოფლმხედველობისანი აღმოჩნდნენ. მათ ეკლესია — ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების სიმბოლო — სახელმწიფოსაგან გამოჰყუს, სკოლა ეკლესიისაგან და რა

სავალალო შედეგებიც აქედან მიუიღეთ ეს დღეს ყველასათვის ცნობილია.

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების ეკლესიისადმი გულგრილობა როცა დაინახეს, კათალიკოზ-პატრიკარქის კირიონ II მონინააღმდეგებმა, კიდევ უფრო გააქტიურეს ბრძოლა მის ნინააღმდეგ. საერთ ცხოვრება პოლიტიკურ პარტიათა შორის სამკვდრო — სასიცოცხლო ბრძოლის ასარეზად იქცა. ყველანი დიდი და პატარა ამ ბრძოლაში თავდავიწყებით ჩაება და დაავიწყდათ ის საყოველთაო აღტაცება და თანადგომის აღტქმა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიკარქს უწმინდეს კირიონ II მისცეს. იგი შეატოვეს ნერილმან ინტრიგებსა და პატაცოყვარე ადამიანებს. შედეგმაც არ დააყოვნა.

1918 წლის 28 ივნისს გაზითი „საქართველო“ იტყობინებოდა: — სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიკარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II 26 ივნისს ს. მარტინოს გაემგზავრა სამატრიკარქო რეზიდენციაში... 27 ივნისს დილით იგი მიცვალებული იპოვეს მის საწოლ თახში... დას, მტარვალის ხელმა მოუსწრავა სიცოცხლე დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწესა და მამულიშვილს. თითქმ ახლა მაინც უნდა გამოფხილებულიყო საზოგადოება, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა; როგორც დეკანოზი ნ. თალაკვაძე იგონებს: „ხმა დაუყარეს თავი მოიკლაო!“ 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლის გამო პირზე ჭიქა ვერ მიჟქონდა დასალევად, ასეთი ხელით მნილიარემ რევორეელი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლუციი იქვე ეგდო ცხედართან: რევოლუციი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლუციი დაკეტა?! გვერდზე დაიგდო?! ასეთი დასკენა გამოუტანა „გამოძიებამ“... ამის გამო მქონდა პირადი შეტაკება ნოე რამიშვილთან. 1918 წლის ივლისში, როდესაც ანჩისხატის ტაძარში მესკენა მარტინოს მონასტერში უცნაურად ტყვიით განგმირული კათალიკოზი კირიონი. დიდმალი ხალხის თანდასწრებით გადავისადე პანაშეიდი, ჯერ ნარმოვთქვი მეტად აღვინებული სიტყვა იმის თაობაზე, რომ მონმე ვიყავი იმ

არაადამიანური შეფისტოფელური დევნა-შევეინროებისა, რომელიც ნიღად ხედა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათალიკოზს". საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კათალიკოზ — პატრიარქ კირიონ II ტრაგიკულმა სიკვდილმა. ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზმა ნიკოტა თალაკვაძემ მიცვალებულის წესის აგებისას ეჭერ მიიტანა მათზე, ვინც იდეურად ამზადებდნენ ამის ნიადაგს, შეოთხა და შუღლს აღვივებდნენ ქართულ ეკლესიაში, რის გამოც, ნ. რამიშვილმა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, გამოიძახა და დატუქსა... (ამ ფაქტს გულისხმობს, როცა მოგონებაში აღნიშნავს შეხლა-შემოხლა მქონდა ნ. რამიშვილთანო.) ნოე უორდანიას მწუხარება გამოუთქმამს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების გამო. მავრამ გამოშეიგა არ ნარმართულა იმ მიმართულებით, საიდანაც სინამდვილე გაირკვეოდა. საზოგადოებრივ საწყისებზე გამოშეიგა უნარმოებია ცნობილ მწერალ იოსებ იმედაშვილს.

კირიონ II-ე დაკრძალეს 7 ივლისს ნაშაუდლეების 4 საათზე სიონის ტაძარში. არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ მოვიტანოთ მის საფლავთან დეკანოზ ნ. თალაკვაძის მიერ ნარმოთქმული სიტყვა:

„მშეიდობით, თქეენო უნმინდესობავ!

ეს ერთი კვირაა შენი ანჩისხატი, მთელი მორნმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაგქვითინებდა ტყვიით განგმირულ თავის მამამთავარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოზღვავებულა მთელი საქართველო — შენი სამწყსო, — რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ სავანემდე. დაობლებული შენი სამწყსო, ისევ დაქვერივებული ივერიის ეკლესია დღეს საქვეყნოდ მოსთქეამს და ჰეროდებს თავის ვაებასა, თავის უბედურებასა, თავის ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლო ქვეყნის გარეშეთავან გაჭირვებას. ეს შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ქქონდოდეს

ჩენები.

არ უიცი შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩენი გაუგებრობის თუ უმაღურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსაო, — სწორედ ჩენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშეებმა, ჩენმა მტრებმა და ორგულებმა შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ლირსება, ჩენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დააფასეს შენი გონიერივი და ზნეობრივი ლვანლი სამშობლოსათვის, ჩენ კი ვერა...

ვერ გამიგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგდარ, დამაშერალ, მხცოვან მოლვანეს დაასვენებენ ხოლმე, სიბერის უამს დაუტყბობენ, განველილ ტანჯვა — ნამებას დაუამებენ და თუ კიდევ სამოლვანეოდ მოინვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე — გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩენ ასე ვერ მოგექეცით. ჩენ მხოლოდ უუფლებო კათალიკოზ — პატრიკარქად ავირჩიოთ! თითქოს ჩენი ეკლესიის ხომალდის საჭეომპყრობელი გინოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდან გამოგტაცეთ!

ქედმალლობა, გამძეინეარებული შური, საარაკო თავხედობა და გულფიცხობა ვანარმოეთ თავის მამამთავრის გარშემო, უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩაუმნარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი ამოვეთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ.

განა მხოლოდ კირიონ კათალიკოზს მოვექეცით ასე? უფრო მეტის სისასტიკეით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! ნინამურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩენში დათესილმა, ერთმანეთის ჯგუფურმა გადაეიდება — კინკლაობაშ შეამზადა. მტრებმა დაგვექსაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯაშუშები გაგვიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება თვით ქართველების ხელით

გააკეთებინეს. რაღა გვეთქმის ამ შავბნელ ბორიოტებაზე? — შერი, ერთმანეთის მძვულვარება და გაუტანლობა დაესადგურა ჩვენს შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენს სამარეს ჩვენივე ხელით... როდესაც იღიას და კირიონს ყიჯინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ეინმე, რომ დამაშვრალთათვის ნუგეში ეცათ, მათვეის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ...

იღიას და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და სამშლობლოსათვის თავგანნირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნი!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის... დღეს ისევ საქვეყნო სირცხვილში ჩავცივდით. ქართველნო... ეტყობა ისტორიის გავეთილები ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც... მაგრამ ღრმად გენამდა საქართველოს ჭირისუფლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაიკლის,
ეს განნირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შეგნგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

დიახ, „გზა უვალი“, კირიონისაგან „თელილი“ უსათუოდ დარჩეება.

ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსეენებულმა. პირველმა შან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905 და 1917 ნლებში, როდესაც ქვანიც კი ღალატებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსსიანი ცარიზმისაგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე ჩვენში გაყინულ — გათოშილი იყო; კირიონი კი მაინც თესდა ჩვენში თესლას კეთილსა. ის შეესწრო კიდეც ამ თესლისგან ნაყოფის გამოლებასა, მაგრამ თვით კი ველარ იგემა თვისი ნამუშავარი. ასეთი ყოფილა ხელირი ქართველ საზოგადო მოღვაწებისა და ვერც კირიონი ასცდა თავის ხელის...

არ შემიძლია არ გამცნოთ საყვარელნო კირიონისაგან ერთ საეკლესიო ნრეში უკანასკნელად ნარმოთქმული აზრი ჩვენს

ძალთა ურთიერთგანნებულებაზე: „ოცი ნლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი საშმობლოს, — ბრძანა განსუენებულმა, — შორიდგან თვალყურს გადევნებდით, ვფიქრობდი, ამ ხნის განმავლობაში თქვენ საქართვისად შეიგუნით საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ესლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულსართ და დაქაქსულსართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორებ სხვათრიც თქვენი გამობრუნება შეუძლებელია” — ასე ნალვლიანად დასრულა მან თავისი მწყემს-მთავრული მხილება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ „ხელახლა დავიბადებით”, როგორც განსუენებულმა გვამცნო, ახალ საქართველოში, მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შევძლებთ უკუვაგდოთ ან დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრნნილი ზნერვეულებანი და შეერთებულ ძალით საშმობლოს კემსახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ან თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს საშმობლოს ლირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ საყვარელნო, რომ მხოლოდ ნმინდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი.

ამ რჩმენით მიგაცილებთ ტანჯულო მამამთავარო, საფლავის პირზე. აქ, ჭალარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტის მშობელ მინას. აქ დაისვენე და განისვენე დამაშერსალი! აქ მაინც ალარ იქნები „განმარტოებული”, აქ მუდამ სინაწლის ცრემლებს დავაფრქვევთ შენს ნმინდა საფლავს. შენც უნმინდესო მეუფეო, აქედგან თვალყური გვადევნე, გაგვამხნევე, არ დაგვიინყო, არ დაგვიყევლო, არ შეგვაჩენო! პირიქით, შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაუმდვილება სიონის ღვთისმშობელს, ნმ. ნინოსა და ჩვენს ნათლით მოსილ ნინაპართ...

შეგცოდეთ — შეგვინდევ და გვაპატიკე, ჩვენო დაუვიწყარო მამამთავარო.

ლმერთი იყოს შენი მოწყალე, ამინ.²¹⁰

კათალიკოზ პატრიარქ კირიონ II მუხანათური მკვდელობის შემდეგ მოკლეს მირიან ბერი (კირიონის დამცველი), ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე... რა ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში? ნუთუ მართალი გამოდგა შავრაზმელ კორტორელოვის სიტყვები — რად გინდათ აკტოკეფალია, ხომ დასჭამთ ერთმანეთსო. ვინ მოპელა ბრნუინეალე მნემსმთავარი და მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი კირიონ II? ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა გული იმით დაიმშვიდა, რომ მკვდელის ძებნა ჩრდილოეთში, რუსეთში დაინწყო. ეს ხომ თავის მართლების უმნეო ცდა იყო. პირდაპირ ხმამალლა უნდა ვთქვათ სიმართლე, კათალიკოზ — პატრიარქ კირიონ II მკვდელები ქართველებშია საძებნი. დას, კირიონი ქართველთა ხელითაა მკვდარი. მარტყოფის ტრაგედიაში ზნეობრივი ბრალი მიუძღვით ყველა იმათ, ვინც კირიონ II ეროვნული მიმართულების გამო შეიძულებს და მის დევნა — შეეინროებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. კონკრეტული დამნაშავენი კი... სამწუხაროდ დაუსჯელნი აღმოჩნდნენ. მაგრამ დათის ნინაშე, ხომ არაფერი იკარგება და ეს გვანუგეშებს სწორედ.

სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქი კირიონ II იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი და დიდი მამულიშვილი. მისი ამქვეყნიური ცხოვრების გზა იყო მონამეობის გზა და აღსასრულიც ასეთივე მონამეობრივი იყო. გვჯერა, რომ ზეციურ სასუფეველს შეუერთდა მისი უკადავი სული და რისი გაკეთებაც აქ ვერ შეძლო მამულისათვის, ამაღლებული და ლმერთთან დაახლოებული იქიდან ზრუნავს დღენიადაგ.

უნმინდესო და უნეტარესო მეუფეო, გვჯერა, შენი უკადავი სული დღესაც თავს დასტრიალებს შენგან უზომოდ შეყვარებულს შენს სამშობლოს. შენ გაიზიარე დიდი ილიას ხვედრი და ეს აღმათ ისეთი დიდი ბედნიერებაა, რომელსაც ჩვენი გონიერა ვერ ნვდება. იქვენგან შეყვარებულს საქართველოს შავი ლრუბელი

დასტრიკალებს თავს, ღვთის ნინაშე თქვენს მეოხებას ნუ
მოგვაკლებ ნმინდათ მამაო. უფრო მძიმე დღეებიც უნახავს
საქართველოს, მაგრამ თავი დაუღწევია მაინც, ნუთუ ებლა
გაგვირავს ღვთის განგება?

„აცხოვნე, უფალო ერი შენი და აკურთხე სამკუიდრებელი
შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა
ჩვენსა მიანიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რათა
ვიტყოდეთ: უფალო დიდება შენდა.

ამინ.

ଲୋକରେଖା ପାଇଁ ଲୋକରେଖା ପାଇଁ

1. გ. ჯანაშვილი. უწმინდესი კირიონი. თბ. 1917 6.
 2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კუკულიძის სახ. მეცნიერებათა ინსტიტუტის კირიონის საარქივო ფონდი. № 1535.
 3. მრავალთავი. თბ. 1971 6.
 4. საღეოისტეტიკელი კრებული თბ. 1981 6. №5.
 5. გაზეთი „ივერია“. 1898. №179.
 6. გაზეთი „ივერია“. 1891. №87
 7. გაზეთი „ივერია“. 1892. №166
 8. გაზეთი „ივერია“. 1903. №38
 9. 6. დურნივი. საქართველოს ეკლესიის ბეჭი. ბათუმი. 1990 6.
 10. ი. მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ. 1989 6.
 - კ. 89.
 11. ჩ. მეტრეველი. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ. 1982. გვ. 94.
 12. მწყემსი №21. 1885 6.
 13. მწყემსი 1886 №1.
 14. გ. ჯანაშვილი მისი უწმინდესობა კირიონი, თბილის 1917.
 - კ. 3.
 15. გ. მარაძე ბეჭინიერებისა და საზოგადო საუნჯე. თბ. 1984, გვ. 851.
 16. კ. აბრამიშვილი. კირიონის პირადი საარქივო ფონდი. კრებულში მრავალთავი, თბ. 1971. ტ. 1. გვ. 367.
 17. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი კირიონის ფონდი, საქმე №778ა.
 18. „სკეტიცხოველი“. 1917 №3.
 19. იოსებ იმედაშვილი კირიონის გამარტახება და მკულეობა. გამ. „კომუნისტი“. 1990 6. 2 სექტემბერი.
 20. გამ. სახალხო განათლება. 1989 6. 29 ნოემბერი.

წიგნის ავტორია:

სერგო ვარდოსანია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სემინარიის პედაგოგი.

რედაქტორი:

გაგა გურამი

ლიხაურისა და აჭის ეკლესიების წინამდებარე

წიგნის დასტამბვის სარვები გაიღეს ბერძენმა მართლ-
მალიდებელმა ქრისტიანებმა. დაიბეჭდა საბერძნებში, ქ.თესა-
ლონიქში გამომცემლობა “ორთოდოქსოს კიფსელში”. გამოცემა
მესამე, შესწორებული.